დოროთეა

უპირატესი

დოროთეა

უპირატესი

თბილისი 2017 წ.

UDC (უაკ) 821.353.1-1
დ-767

© დოროთეა 2017
ISBN 978-9941-0-9694-5

შესაქმის თავი

.....და როცა მთვარიან ღამით
სული თითის წვერებზე შედგება,
რომ მიწვდეს უხილავ სიღრმეს
და ისწავლოს მარადისობასთან შეხება.
ვერ ხვდები, რას ელოდი უწინ,
და თუკი ეს ლოდინი გრძელდება,
მოდიხარ, დატოვე სახლი,
გზაზე ბილიკი ფერდდება;
მუდამ ტკივილის განცდით
ეს მოლოდინიც ბერდება.

უკან დაბრუნების ტრფობით
უბელი რაშების დევნება,
ყველაზე გათელილი ბილიკით,
ყველაზე მიუწვდომელი გეხება,
წინ მიერეკება წუხილს
განთიადის ნამიანი შეგრძნება.

და როცა მთვარიან ღამით
სული თითისწვერებზე შედგება;
უნდა გაიხედოს იქით,
სადაც აუკრძალეს შეხება.
როგორც დამფრთხალი ჩიტი,
ყველაფერს უგზო-უკვლოდ ედება.
ვიყავი, გგონია, ვიცი?
ვიქნები? არ მექნება შეგრძნება,
ბალახი აავსებს მიწას,

რომელიც ერთხელაც
უხმოდ შემხვდება;
დუმილი იდგება სახლშიც,
რომელშიც მინდოდა შეხედვა,

.....და როცა მთვარიან ღამით
სული თითისწვერებზე შედგება,
ვიცი, ყოველი დღის ანი“
უფალთან „ჰოესავით შემხვდება,
და თუ მე დავივიწყე თავი,
არც რამ დაიდო მტვერად
ჩემი უგვანი ფეთება;
გაქრა -გაიქროლა ყოფამ,
როგორც სარკეში მედუზის შეხედვამ,
შენ დაიმახსოვრე, ვიცი,
ჩემი ყოველი კვნესება;
ყოველი ჩემი ჩქამი
ტაძრად ექოსავით ჩერდება,
ნუთუ მე ვიყავი მაშინ,
მამა რომ მიპირებდა შეხვედრას
-ზვარაკს მირჩევდა ნასუქს,
და სამოსელს პირველს ეძებდა.

.....და როცა მთვარიან ღამით
სული თითისწვერებზე შედგება,
მე ვიქნები პატარა ბავშვი
მეპატიება მარადისობასთან შეხება;
მოდი, ამიყვანე ხელში,
მექნება მოლოდინის შეგრძნება,

ეწერა შესაქმის თავში,
რომ ვარსკვლავებით გვეძებნა,
ჩვილი გახვეული მჩვარში
და სულთათთანა შეხვედრა!

10.12.2004

MEMENTO MORI

ყველას სძინავს, ღამე მწირავს,
და პატრონმკვდარი ყმუილა სინდისის
ბანი,
არის მიმომწყდარი,
-ფრთოსანი ჩარაზულ სახლში,
მიუგდიათ და გასულან ხალხში.

სად დაეკარგა ყველაფერს აზრი;
თითქოს დაღვარეს გრაალის თასი!
მთვარის პინაზე შეგდებული დღე,
ზამთრის ნაჭუჭში ჩაკარგული მზე;
- ყმუის ძაღლი----
პატრონი თუ გალოკილი
ადარდებს ძვალი?!

ხორცგამოცლილი, გლუვი მთვარე,
ამ ყმუილისთვის აგდია გარეთ.
ფრთოსანი აწყდება ჩარაზულ კარებს.

ღამე აჭყიტებს ფანჯრებში თვალებს,
ათიათასი ძვირფასი თვლების
ყრია ფარდაგი
და ერთადერთი ასაცმელი ძაფი არ არის!
სად დაიკარგა აზრი მთავარი?
ეს საზეპურო სამოსელის ქამრის სადარი!
თქვენი ადგილი ამ ქორწილში ნეტა სად
არის?!

ჩამონაღვენთი სევდა მთვარიდან
სულში ჩავიდა,
ვერაფერს ვერ დაიწყებ ახლა თავიდან!
არსაიდან მოსული თოვლი
არსად წავიდა.
გუშინ საქორწინე ბეჭედივით
გამტყდარა მთვარე;
მსტოვრებივით აცეცებენ
მთიებნი თვალებს.
ზამთრის დღე მინებდა ცივი მზის
მკლავებს;
ღრუბლის ქარავნები-ყაჩაღანა ქარებს!
ხიდან ხეს ქარის ხმა გადაეცემა,
ცოტაც და ცხოვრებაც პირქვე დაეცემა;

გახსოვდეს სიკვდილი!---უბნობს ღამე,
უჭირავს გლუვი, გალოკილი
ქალა მთვარე,
ყმუილა სინდისი მომცდარა ტყუილა;
ბოლო შეჭამანდი-შიშით განაზავი ფლავი

არის.
გახსოვდეს, სიკვდილი მუდამ აქ არის.
-მთვარე-მრგვალი; გლუვი თავი;
პირველი კაცის ძვალი.
გოლგოთის მთა და მხსნელი ჯვარი.
კიდევ?
კიდევ ----მთვარის პინაზე
შეგდებული დღეების ჯავრი.

16.02.2004

* * *

ვაშენებ ღობეებს, თანაც ეკლიანს,
იქ შიგნით ვიქნები, იქ არ მერჩიან.
მერე ძაღლურად, გული გაწვრთნილი
ფეხს ამილოკავს-საჭმლისთვის
ხელგაწვდილი.
დილა თენდება დილა მარტივი,
ამ ეკლის ღობეზე დართული ძაფივით-
---გაჭიანურებული და უკვე დაღლილი.
ვაშენებ ღობეებს, თანაც ეკლიანს
და ეკლის ბარდებში არავის ელიან!

09.2015

* * *

გარეთ მთვარეა სრულიად მრგვალი,
მთვარეს აყრია სხეულზე ხალი,
ისიც მარტოა,
თუნდაც ეხვიოს ღამის მჩვარში.
გადი, გარეთ ნახე
მარტო მყოფი მთვარე,
ამ სიმარტოვეში
ნუთუ შერჩა სახე?!

09.2015

განშორება

როგორ მივჩვეულვარ თურმე განშორებებს,
თურმე დამიშვია ჩემთან სიმარტოვე!
როგორც შავ ჩარჩოში უცხოს
ნეკროლოგი,
მხოლოდ თვალს იტაცებს მუქი
შესამკობით.
აღარ ვიწკმუტუნებ
და არც კარებს ვფხოჭნი;
ვიყვე გაგდებული ლეკვი უსახსრობით,
-ესეც დასაწყისი რაღაც შეუცნობის.
ნეტავ, რა შევცოდე ასე შეუნდობი?!

როგორ მივჩვეულვარ თურმე განშორებებს,
თურმე დამიშვია ჩემთან სიმარტოვე;
ისიც შემეხორცა უკვე, როგორც ლანდი,
დამდევს უკან კუდში ძაძის შავი კაბით.
ისიც ჩემი მსგავსი- ოღონდ უფრო
გლუვი,
ცივი გველის ზლაზვნით;
ჩემი სიმატოვე, მხოლოდ ჩემი დარდი!

როგორ მივჩვეულვარ თურმე განშორებებს,
სულაც აღარ მიკვირს, სულაც არ
მაოცებს!
მხოლოდ გამოჩენა იყო საოცარი,
რაღაც ვარსკვლავური ზეცას ჩამომწყდარი,
მხოლოდ სიკვდილშია დნობა სანთლის
დარი,
ო, ეს ბრწყინვალება საქორწილო კაბის.

როგორ მივჩვეულვარ თურმე განშორებებს.
უკვე დაშვებული მოდის სიმარტოვე!

28.08.2015

„მოვედინ ჩემდა!“

არ ვიცი, რას გეტყვი,როცა შეგხვდები,
„გეტყვი-მიყვარხარ! გეტყვი მიყვარდი!“
რადგან შემიყვარე, ვიდრე არ ვიყავი
და როცა ვიყავი,
ავაზაკი და მრუში ვიყავი
და როგორც მეზვერე ვწირავდი ზვარაკს,
კეისარს-კეისრისას, ღმერთს კი არც რას.
რადგან საღმრთო არ მქონდა არსად.
უძღები ცხოვრებით წარვაგე სადღაც,
ვგავარ ღორების საზრდელით ნაზარდს;
გამიღებ კარს ახლა?!
თუ არის უკვე ჟამი,
როს მექორწინე სიძემ დახშო კარი
და ქალწულების სდგას ჯარი,
ლამპრებიის დაქრობიათ ალი;
არღარაა ყიდვა-გაყიდვის ჟამი.
რაი მივაგო სულისა წილ, რაი?!
მაქვს მხოლად განცდა,
რომ სადღაც აქ ხარ;
ვიქნები შენი? ვიქნები შენი-
როგორც ავაზაკი, როგორც მრუში,
რადგან ხარ მამა, უძღებ შვილსაც,
რომ დაუკლავს ზვარაკს;
მეათერთმეტე ჟამის მოქმედსაც
ურიგებს ტალანტს! და გიყვარს
მანამ, სანამ, სასიყვარულო არც რა არს;
ვიქნები შენი, გვედრი და გეტყვი-

მიყვარხარ- შეეწიე ურწმუნოებას ჩემსას!
დე, ხმა შენი სანატრელი მესმას:
,,მხევალო ღმრთისა, მოვედინ ჩემდა!,,

1998.10

ზებია

ზებია, წარსულის ნარღვევი ძაფით
მოქსოვე თბილი წინდები, თბილი შარფი
იწყება ყინვა დარდის
და სევდა, განუჭრელი-განუკვალი.
პირველი თოვაა და ბუნებაში
სიქალწულის სისავსე მოვა,
უნატერფალო სევდა, უნატერფალო
დარდი.
სევდა მიღმიერის ნატვრის
და სიმარტივე განცდის-
მხოლოდ ლოცვის და არა მკვდარის.
ეს სიმარტოვე არ მგვრის წუხილს,
სიცარიელის გარეშე სიმარტოვე
ლოცვად მოვა.
სულში მექნება სევდა განუკვალი,
და მარტოობა დანადარდი,
არ ჩანს ხევი და არც აღმართი,
მხოლოდ მიჭირავს წარსულის
ნარღვევი ძაფი.

---ბებია!
მოქსოვე თბილი წინდები,თბილი შარფი,
მახრჩობს სასტიკი ყინვა შენი ნატვრის,

13.11.1995

რაჭას

მინდა ლექსი----
სავსე სურნელით,
ნიავით- სულ ნელით,
იასამნის ფერი შეღამებით;
ნახირის მიზინზილაკებით,
ცხვრებით,
ჰამაკში გდებით,
მყინვარზე მჯდარი,
მთვარის ჭვრეტით.

მინდა ლექსი----
ჭრიალა ზაფხულით,
ჭრიჭინებით,წვიმის თქეშით,
მოწყინებით.
მინდა ლექსი
და როგორც კალმახს,
მინდა ჩემს სათავეში ასვლა,
იქ გაეხსნება ზეცას უბე

და ვარსკვლავებით გატიკნულ
ცურში ჩამიხუტებს.

23.03.1999

ურაკპარაკი

მზე გაძვრა ხვრელში ღამის,
აეცვა მძივი ძაფით მსხვილით,
დღეს -დღე მიჰყვა კიდევ ერთი,
დავიწყების ფრთებით,
იქნება ღამის შავი გიშრის გვერდით,
სიკვდილმოსილი სუდარის ქვეშით.

მხოლოდშობილი გავიდა ჟამი,
მზე ჩავიდა და ღამის ჩადრქვეშ
აღმოსავლურად იღიმის მთვარე.
ვხედავდი თვალებს
და თვალწინ მედგა ბაგე---
მთვარით განპობილა ღამე.
ღამის მსხვილი ძაფით
ჭრელი დღეების ეცმევა მძივი,
სიკვდილის კართან მდგარო ვაჭარო,
გარდმიხდი რა ფასს?!

ახლა გავალ ურაკპარაკს,
დაგეძებ, რომ ვერ გიპოვო,
თან მდევს წკარუნი თვლების ჭრელის,

ვარ ბოშა ქალი, მხოლოდ დარდით და
ვნებით,
არ ვიცი, საით მიდის ჟამი,
უღრმესი კალაპოტით ღამის.
და სად თავდება ცხოვრების ხაზი.
ისე კი მაინც დავალ ურაკპარაკს
და ვბედავ ლაპარაკს,
ურცხვს და ხმამაღალს,
გეტყვი მომავალს, ტყუილ-მართალს,
და ცხოვრებაც გავა!

როგორი დამცინავი ღიმილით მწარედ,
წონის წამებს მთვარე!

1996.04

ტაიჭები

ველური ტაიჭების ისმის ჭრტინვა,
ლაგამსხმულები თქერავენ მიწას,
არა ბალახი,
არა ყვავილი
აღარ მინდა!
იქნება უდაბურება
ამ ველურ გრძნობათა მიღმა!
არა მდინარე,
არა წყარო,
არა წვიმა,

მხოლოდ ველურ ტაიჭთა
ფლოქვების პირას,
მოზელილია უწყალოდ თიხა,
თითქოს შესაქმე გამოუმწვარ მწირთა!.

პირთამდე აღვსილა ჯამი,
ჟამი გრძნობით მთვრალი
და აღულაგმავი ზღვარი,
ვიქნები მთვრალი,
მაგრამ მთვრალი მკვდარი.

ზღვარდებულ გრძნობათა
გრძნეული გზნება,
ფიქრს-- ვით ფოთლებს შემოდგომისას,
ცეცხლს მიახვეტავს.
შიშთვილმიბა ბოლმა,
როგორც თავის ჩამოსახრჩობმა თოკმა.
დააბურბუსალებს ფოთოლთა -მჭკნართა
ოხვრას,
ბოლო აბოლება საშემოდგომო ბოლთა.
იწვის- დაუმწვარი ზღვარი,
თითქო ვიპოვე დაკარგული კერიის ალი
და დავბრუნდი სახლში,როგორც უსაფარი.

ითხრება სამარე, სამარე ჩემი,
ჩავარდნილი კლავიშივით
გრძელი და არასმთქმელი.
საშემოდგომო როკვაა- ბოლთა,
და ცხენთა აღულაგმავი ბოლთა.

გამხეცებული გრძნობათა ტაიჭები,
დაცვეთენ საკაზმს, საკაზმ- ლაგამს
და საცაა გადმოვლენ საზღვარს,
ვითარცა ტალღა.
მოქცევა იწყება ზღვათა,
და კიდევ ტანჯვა ხუროთა,
-დარღვეულ ჯებირთა კაზმვა.

მზე ზღვათა ფაშვში ჩაეშვა,
როგორც ხურდა
და უმთვარეო ღამეს,
თითქოს წიგნი დაიხურა,
ყოველივე ბნელში გაიმურა,
ისმის მხოლოდ ხმა-
იწყება მოქცევა ზღვად
და ბოლო საშემოდგომო წვა.

23.11.1994

ჩემი გემი

მე გეტყვი უტყვად სიტყვას- უთქმელს
და ჰაერს ბგერით ურხევს,
ღუზასავით მძიმე ოხვრად ამოვისუნთქებ.!

ფირუზისფერმა ტალღამ
შლამი ამოზიდა მაღლა,
მოისხა მხარზე შალად,

და გზა უკიდეგანო მიმოგვალა -
ნარ-ნარ.

ტყვიასავით მძიმდება ჰაერი ახლა,
ღუზა აგდია დაბლა,
გემი არ ჩერდება არსად,
ქარმა აფრა მიიბანტა
და კვალი, როგორც კვამლი მიიფანტა;
მე სიმსუბუქე დამყვება ქართა.
ახლა, ამ სიჩუმეში, აღარაფერი არ ჩანს--
და მე აქ ვარ განა?!
აქ მხოლოდ ღუზა დამრჩა,
არსად გავჩერდები, არსად.
ვეღარ ვიპოვი ვერსად საბამს,
ღუზასავით მძიმეს ვტოვებ დუმილს,
შენ გამოიცანი შენი გულის,
მე სიტყვა მითქვამს შენთვის უთქმელი,
და ჰაერი გამხდარა ტყვიასავით
ღუზაუძვრელი.

შენს ნავსაყუდელში ჩამიწყდა საბამი
და სიმძიმე დაგიგდე ღუზის სადარი;
ეს შენ იდარდე,
ჩემი გემი ეხლა სად არის?!

03.06.1996

ნისლიანი ლექსი

მთვარისფერია ნისლი
და მთვარეულივით მიმოიღვრება,
მიმოირწევა გზა -დარღვეულა სამყარო,
შეუდგა სევდის ზღვა;

თივად დაფენილ ნისლებში
მდუმარე კრთომა მთვარის მცხრალის
უმშვენიერესი ტანით, მჭვირვალი კაბით
მთვარე მცხრალი-ნატერფალი ნისლთა
დარდის დარი.
არ ვარ მარტო, ვარ ოდენ მხოლო,
ჩანასახივით მყუდრო,
და ვმყოფობ უსახურობაში ნისლთა,
როგორც მიტოვებულ სახლში ბლანდი;
თან მდევს სუნი თივად დადგმული
ზვინების მჭკნარის
და სევდა მთვარის მცხრალის.
ვერა, ვერ ფლობს მთვარეს ღამე,
ზორბა შავი მხრებით
და ალესილი რქებით;
არის მთვარე მცხრალი და ოდნავ
მკვდარი,
მიცურავს ნისლთა ზღვაში,
მდუმარე კრთომით უმშვენიერესი ტანის,
მჭვირვალე კაბით,
და არ ყავს დარი შესაყვარი;
ღამე არის ხარი და მისდევს ქშენით,

საძოვრად ნისლების ზვინების
მიმოირწევა გზა, დარღვეულა სამყარო
შეუდგა სევდის ზღვა და.....
დაუცდა ღამეს ჩლიქი
მთვარის იქით,
მთვარის იქით!

1997

მაისი

ყოფიერების მძიმე ჩარჩოზე
დევს უკვე, მტვერი ძველი,
ჩარჩოში ჩაუსვამთ სურათი სულმნათი----
მაისი----
დღე მყუდრო,
სველი,
ჩვილი მწვანე,
ვაშლის ყვავილი ბევრი,
შავ მიწაზე რძე ტყემლის,
და საათივით აწყობილი-
წკარუნი წვიმის.
ჩარჩოს აქვს კიდევ ბლანდი---
ბანტი დიდი!
ძაან მშრალია ჩემი ფიქრი---
ვიყიდი,
ვიყიდი სურათს-
დიდს და სუფთას,
მჭირდება სულ რაღაც ხურდა.

საქმეებს ნაქებს მიემატება კიდე საქმე-
ჩარჩოს გადვუსვამ, მოვაშორებ მტვერს,
არ გავიჭრი ხელს;
არაფრად მჭირდება ბლანდის ბანტი
და ორდღეში ერთხელ მაინც მივალ იმ
მაისთან მძიმე,
მყარი ჩარჩოს გაღმით რომ გავიდა.

1998.04

წვიმა მოსული ცისარტყელის ფრთებით

წვიმს,
წვიმით მძიმენი,
ღრუბელნი მიდენით,
იშლიან ცისარტყელის თმას.
წარღვნის წვიმა
არ წარყვნის მიწას;
ყველა ცისარტყელის ცვარს ჰგავს.
ფიქრი უდები--
გადაუდები,
საძოვრად განამზადებს სულს,
ნორჩი ბალახი---
სიჩვილე თავდახრით;
მოიწყენს ცა და ქუხს.
ეჰა, თამაში,
ქურციკთა ნავარდით.
რისხვა დგას

ცისარტყელას ზურგს!
ფიქრთა თავანში
 შენ ხარ მთავარი.
მარადისობა ექოდ უბნობს სულს!
მაგრამ დავიწყება,
 ანაზდად იწყება,
ჩემი ანგელოზი წუხს!
წვიმა მოსული ცისარტყელას ფრთებით,
ანგელოზთა მწუხარებას ერთვის,
მე მუდამ კიდევ რაღაც მეტი მსურს!
შეკრა ბარგი,
წვიმაში ჩუმად წავიდა მგზავრი,
გამოეთხოვა სულს;
იწყება წვიმა,
ანაზდად, მშვიდად,
ბებერ ძვლებამდე,
მკვდრების ძვლებამდე
სველდება ძველი,
ძალიან ძველი მიწა!

02.10.1999

თეთრი კვართი

ნაწნავის აღვირით მხრებზე დაღვრილი,
და სიქალწულით თვალებდახრილი,
უხამური, თეთრ კვართში ვდგევარ;
გარდაგულარძნეს, სულამდე
აპირთავებული ვნება.
მთვარის შროშანი ისე შორს არის,
თითქო შავ წიგნში გასახმობად მოხვდა.
შეგაიწრებენ წლები რა ბევრი,
მაგრამ არ გიწერია კვდომა.
ფრთათა ფორიაქი,
ლექსთა ფოლიანტში მოვა
.....და სანთლების სულმოუთქმელი
დნობა;
წლები-ნასროლი ტყვიები
და დაუმიზნებლად კვდომა.
მიეთ-მოეთში, მიედ-მოედი,
მკვდარი ხარ, შენახული ცოცხლად;
ღამის შავი მერანით დათქერვა ვერანი-
იღება შავეთის კარი-
ძრწის მოსისინე ქარი;
აფრთხიალებულან სანთლები_
თბილი ხელების დაერღვათ ბუდე.
მთვარე გველივით იცვლის პერანგს;
ვდგავარ_უხამური,
უნდო, უსახური,
მაინც შემიყვარებ, მჯერა!

სევდა

თვალთა ღრეჩოდან უბერავს სევდა,
გეტყოდი რამეს, მაგრამ ვერ ვბედავ.
სიჩუმე, როგორც მედუზა ბლანტი,
გამჭირვალეა და არა სხარტი.

მე ეს სიჩუმე ვიცი, მეხება,
ბაგეზე მკოცნის და თავს მევლება-
თვალებში უნდა კარის შეღება
იქნებ, იქ არის, ვისაც ეძებდა.
მაგრამ ქარები - სევდანარევნი,
უდაბნოს კალთებზე წამონაწვენნი,
არიან ფრიად დამაშვრალები-
ამ უდაბნოთა გაშლა-დაკეცვით.
მოცვეთილია კარის საკეტი,
ამ ჩემს თვალებში სევდის სალეწი
და მაინც არა ვარ კარის გამღები,
ვინც გინდა იყო-
შენ ხარ გამვლელი,
ვერ ხარ საპალნე სევდის წამღები.

ო! გეაჯები, კართან გაჩერდი!
მომაქარავნებს; სევდა -ქარებით
გადახვეტილა უდაბნო რამდენი?!
ერთი იქნები, თუ ერთადერთი,
დანამტვერდები და დანაცრდები.
რისთვის ჩავარდი ამათ ხელში?
მიმომხილველი ბრმების თითებით,

დაიფანტები, დაიცრიცები.

თუმცა კოსმიური დავანთეთ ხანძარი,
ჩაინაცრები უდაბნოს კალთაში.
ო, გეაჯები!
მითხარი, ნახვამდის!
ყველგან ძვრებიან ბრმების თითები,
სევდის მიხედვით, სევდის მიხედვით.

თვალთა ღრეჩოდან უბერავს სევდა,
უდაბნოს ქარებთან შებმას შებედავ?!

2005.30.09

ბარდნის

განთოვლიერებული მიყვარს წარსული,
მდუმარე თოვლის
ფახუნი კრძალული,
ტრფობა აკრძალული
არ კი დაკრძალული,
გადამალული ცხოვლად.
ელვა ალმასის
ჩუმი თამაში,
საიდან მოსულხარ
ასეთი ლამაზი?
ცის უმისამართო ბორიალი
თოვლის კორიანტლით

და თოვლათინათი გრძნობა,
ფიფქთა ფიფქული თამაში,
მსუბუქი ფარფატი ფარვანის,
ფიფქთა შეცვარება,
გრძნობის შენაცვლება,
ხსოვნა მეხარება,
თოვლად მენატრება ტრფობა.

განთოვლიერებული მიყვარს წარსული,
და თოვა, ფახუნით თოვა.

1999.03

გაზაფხულს

ფარდაში გაცრილა ქუჩა.
სულ სხვა ცხოვრების
მიჭირავს ხურდა:
-ყმაწვილი, ქალწული და გაზაფხული
ბაღში ჩამომჯდარი სულთქმად.

შილიფად ჩაიცვი,
ქარში ამიშვი,
წამო, ვიაროთ უქმად.
წამო, წამოფერთხე
ქარულად ყველაფერი,
თუ არ გავფრინდებით,
სადღაც დავიცლებით,

სადღაც დავიღვრებით,
იებით ნასუნთქი მიწის დაქვრივებით
და ვიქნებით,
ვიქნებით მუდამ,
რადგან ამ გაზაფხულს ასე ჯიუტად უნდა!

ქუჩა განიერი,
ბაღი ცარიელი,
სკამზე ჩამოყრილი
ფოთლები უქმად.
ფარდის წინ უმაქნისობს ქარი,
ჰგონია ქუჩის ქალი.
მიპყრობს გასული წლების ჯავრი.
---მიხურეთ კარი!
სახლში კატისთათება
დადის დარდი,
სიმარტოვის ქნარის წყნარი ჩქამით.
-აქ აღარავის უნდა,
რომ იყოს მუდამ!
საგანთა ცვალება-გარდაცვალებით
გამხდარან ცუდად.

თავიდან გამაცანი თავი!
მწირობით განვლილა
მუდამ სამყოფი ჟამი-ავი.
ფარდაში გაცრილი ქუჩა-
დაყრილა სახლში ხურდად.
შემომაცივდა გაღმიდან
ეს შემოდგომა ცუდად

და დამავიწყდა-
მიწის იებით სუნთქვა.

2000.10

მთვარის მეორე გვერდი
ანუ პეპელა მატლში.

ფიფქი ფრთამალი
და მერე ტრამალი-
არსით სავალი, გარდამავალი.
წარმავალობა-ქვეწარმავალი,
დამნაშავეა მთვარე მთავარი!

მთვარის გვერდზე შეკიდებული ბნელი-
ეს მე ვარ, ეს მე ვარ შენი.
გახსენი ბაგა, აქ ვყოთ სერი,
დამშეულია გზაზე ბევრი,
მე ვარ მთვარის მეორე გვერდი,
ანდა შენგრეული ფერდი.

დაკარგული დროის სევდა,
ამოსხმული პეშვად-
ეს მთვარეა-
მორთმეული შენდა,
ერთად შევსვათ!
წარმავალი ყველაფერი ქრება.
ეს ის ბნელია, როცა გელიან,

ახლა მიტოვება ყველაზე ძნელია.
--და მე დავრჩი-- პეპელა მატლში!

მთვარე, დამნაშავე მთავარი,
არის ამ სიბნელის სიმძიმით
წელში გამწყდარი,
ღამე კი-საკინძე ამწყდარი,
ო, როგორ არის
დარდისაგან მთვარე გამხდარი?!

2000.01

თბილისი

მოდუდუნებს ბაიათებს მტკვარი,
დაბერებულა თბილისი აივნებზე მდგარი,
ბებერ ძვლებში უბერავს ქარი,
კრამიტიანი სტკივა თავი.
ძველი ნოხივით გადმოუკიდავს ამბავნარი;
მთვარის შუქით რო ხატავდა ფიროსმანი.

შველივით იყო დათვი წყნარი,
ახლა დათვად ქცეული შველია
შვილი შენი.
აქ უხვად ბაზარია და ტურფა,
იქ ქორფა მწვანილი და სუფრა მუქთა.
ქვაფენილზე ჩარბენილ წყლებს
გაჰყოლია წლები,

მტკვარში მეთევზისთვის დასაჭერი.
ბიძაჯან, სიკეთე ქენი,
მომყიდე ყველაზე ახალი
თევზი ---ძველი/
მექისის ქისას
ჭუჭყივით ნუ აჰყვები!
ხოხობივით ლამაზო
ჩემო წლებო,
გოგირდში დასახრჩობად
როგორ გაგიმეტოთ?

მტკვარო, თბილისთან
ფეშქაშ თქვი ბაიათი,
როგორ არ ირეცხება ლაქა,
რუსთაველს ნასროლი
ტყვიით რო დააჩნდა.

2002.08

პირველშეწირული

ფიქრი მქონდა თბილი - თეთრი პლედი,
წიგნში ჩაკეცილი გვერდი,
ბუხარში ტანადი ცეცხლი
ხმელ ხეს აკვდებოდა ხელში.

ალი ხარ, თუ ქალი?
თუ საკინძეზე გიშრის თვალი?
ალი ხარ და
ხერხემალი შენი არის ხმელი.
ქალი ხარ და
გიშერივით ღრმა ძილით იძინებ
და ივიწყებ,
სად იყო ჩაკეცილი გვერდი,
გვერდი შენი.
იქნება ადრე,
ყველაფერი იქნება უცხო;
იქნება გვიან,
ყველაფერი უნდო, უსაფუძვლო.
ადრე მოგკვეთს კბილებს,
მზეს დაგაჭერს, დაგაჩვილებს.
გვიან - გცივა,
აღარაფერი აღარ გქვია,
მხოლოდ გტკივა-გტკივა!

სად იყო ჩემი გვერდი,
ჩემი ბგერით?
ვიცი იყო სადღაც,

მაგრამ ის წიგნი
ხელში არ მაქვს.
დამრჩა ტაძარში
აღსავლის კართან;
სრულდებოდა ჟამი-
,,შურმა შეიპყრა
ერი უსწავლელი"“
და წმიდა იყო
წმიდათა-
პირველშეწირული
მსხვერპლი.
სულს აქვს ახლა ნატვრად,
სინანულად დაღვრა,
მაგრამ ხანაა ადრე,
ხანაა გვიან----
სადაა გვერდი ჩემი
და პირველშეწირული მსხვერპლი?!

1998.10

წარსული

მინდა წარსული
იყოს წასული,
ოთხი ფიცარი
და ზედ აგური,
კიდევ ლურსმანი,
მაგრად ჩარტყმული.

რაში მჭირდება
მე ეს ფიქრები-
სევდაზე აცმული?
მოგონებები-
მეჩეჩზე შემჯდარ
გემზე ქარული.
და კიდევ აფრები-
ნაგლეჯ-ნაგლეჯი,
ვერ შეკერილი
და ვერ ასხმული.?!

მინდა წარსული
იყოს წასული,
ოთხი ფიცარი
და ზედ აგური,
ჯვარიც არ ქონდეს
საფლავზე დასმული!
ის მოგონება-
ნაბიჭევი, დიადი წარსულის,
ტალახს ანაზელი
მიწაზე გართხმული,
აღარ მიზიდავს -
მოკვდა წარსული!

ძაღლად არ მინდა
ვიყო აღქმული,
ნაბიჭევებთან
ლტოლვა მქონდეს,
ლტოლვა სათუთი.

მინდა წარსული
იყოს წასული,
ოთხი ფიცარი
და ზედ აგური,
ჯვარიც არ ჰქონდეს
არსად დასმული;
კიდევ ლურსმანი,
მაგრად ჩარტყმული.
დე იყოს მთები,
მთებზე ღრუბლები,
ანდა პირიმზე,
მორცხვი ასული,
ქარში თმაგაშლილი.
-მზეში წერტილად
ამ მთებზე დასმული
და მთვარე მშიერი,
ვარსკვლავების საკენკზე-
მთებზე ასული.

2015.09.10

ამ გაზაფხულს ათოვდა

ღამეა ფხიანი_მთვარის ზიანით,
განულეწავი სევდის კალოა,
ვერ ვარ მზიანი.
სიჩუმის დამრღვევი_დუმილი შენი
გულის ფრიალით,
მომელანდება სიყვარულის
კაბის ფრიალი.
ო, ეს ქარია - ყველგან მკრთომი
მიმოწრიალი,
თუ შუქ- ჩრდილია იასამნის
და ნუშ-იასი?
ამ გაზაფხულმა
თოვლით იცის,
იცის ყვავილებზე
მთხვევა ტრფიალით.
დე, ერთადერთი
ტოტი შემრჩეს განუკვირტავი.
და სიყვარულის თოვლის მიღმა
ნუშთა მოფერი დაუზიანი!
მე თუ სიყვარულს
სადმე ვლანდავ,
ღამეა ფხიანი.
მთვარე გაწვრილდა-
პირიქითა დარდებს მიგაწვდის.
მე სიყვარული მჭირდება ისეთი,
რომ იყოს შესაქმის არსთა მიზეზი!
ფიფქი ფიფქს არ ჰგავს,

ფოთოლი- ფოთოლს!
ო, ეს საწყისია
შესაქმის ბოლოს,
და ამ სიყვარულს
ეძებენ მხოლოდ!

ეს გაზაფხულის
არის ღამე-
დანადარდი მაქვს,
თოვლი და მთვარე.
როგორც ღამურები,
ფიქრები_ამურები.
მაგრამ გაფხავებულ
მთვარეს რას უშვრები?
რატომ გამომიხმე,
სიყვარულო,
და მაქციე მხოლო,
რომ დავრჩენილიყავი
ობლად ბოლოს?

თოვლი ფიფქებს აფენს,
ვერც განსხვავებას,
ვერც მსგავსებას ამჩნევს.
მე კი ვეძიებ სიყვარულს
სხვაფერს,
მხოლოდ ჩემეულს,
მხოლოდ შესაქმეს.

2007.04.05

მარტი

მზემ თავის საბუდრად მიწა არჩია,
ფანჯრებზე სხივებმა დაიწყეს თამაში,
თითქოს სადღეგრძელო სიცოცხლის ითქვა
და
ბროლის ჭიქებში თამაშობს ბადაგი.
დაბერილ კვირტებში ყვავილებს ვერ იტევს,
ძარღვებსაც უნდათ, რომ კვირტივით
გაიხსნან,
მე, რომ მეგონა, ზამთარში დაგმარხე,
გაზაფხულია! მე გიწყებ თავიდან.

ახლა ლურჯ იებში თეთრი ენძელები,
წერტილ-მძიმეებით ლექსს წერენ
მარტისგან,
ქალაქში წვიმები დგება გუბეებში,
მე მინდა, თავი დავიხსნა ზამთრისგან.

დავდივარ ქუსლების კაკუნით ასფალტზე
და ყველაფერზე ვიცინი მარტივად,
მარტს შეუძლია ადვილად გაბრაზდეს,
ერთი ქარი და ზამთარი თავიდან.

მარტის კატებმა კივილით დამღალეს,
მზის სხივზე გაბმული მტვერიც არ მინდა,
ნეტავ ნუშები ისე აყვავდეს,
ყინვებმა ვერ შეძლონ მათი წაბილწვა.

3.03.2016

საცობი

თბილისმა შეირტყა წელზე ქამარი,
და გასაძრომი არსად არ არის,
საცობი, საცობი და კარზე ზამთარი-
მჭკნარი ხელებით და ძალუმი კანკალით,
მზეზე მივყვავილდე სადმე იქნებ?!
გული წყვეტილად ფეთქვას იწყებს,
შენ იყავი და შენც ვეღარ მიძლებ,
პატარავდება ქალაქის სივრცე,
საცობი, საცობი და საცობი ისევ.
ამ ქალაქს თუ შევეჭმევი, მიტირებს ვინმე?
ათასთვალება დარდი გარედან
თითისწვერებზე დგება ფანჯრებთან.
ჩამომხრჩვალია ქარი კარებთან,
დაღლილები ვართ ისევ და ისევ---
გასაქცევ გზებზე ღობეები კეთდება
ზამთრისგან,
ქარის კაკანით, საცობის ბაწრისგან.
არ ენდო მიზნებს საფიცარს,
ასახდენად საჭირო სივრცემ რა მისცა?!
მხოლოდ ქალაქი_წელზე ქამარი
და გასაძრომი, რომელიც არ არის
მხოლოდ საცობი და კარზე ზამთარი.

11.2015

მიდი, გამოჩნდი!

გავმიწისპირდი უკვე სრულიად,
უკვე სრულიად გავხდი მოკვდავი,
დღეების ფოლიანტს
მე ვჭვრეტ ბოლოდან,
ვეჩვიე ნასროლ ტყვიებში ბოდიალს.
მიტოვება და მეგობრის ღალატი,
თურმე ისეთი იოლი ყოფილა!
ვერცხლით ნაყიდი უცხოთა საფლავი
ამ უცხოობას მომირჩენს გგონია?
ეს სიმარტოვე ნაცადი მრავალგზის
დაძველებულ ღვინისფრად მომყიდა,
თუ აირეოდა ესე ამბავი,
ან ეს სიცოცხლე რიღასთვის მომინდა,
იმდენი კითხვა მაქვს, გავხდი საწყალი.
სადმე საყდრის კარს მივეყრდნო ჯობია;
იქნებ ლუკმისთვის დამჭირდეს ღაღადი,
დღეების აკინძვა ყულფზეა მარტივად!
უფსკრულზე ვდგავარ და ვიძახი:
ნახვამდის!
ჩემი სულერთა თვალს მკიდავს შორიდან.

ვიცი, არასდროს არ მყოფნის არავინ,
მერე ვიღაცის ომში ვარ მარტივად.
ჩემო სულერთავ, მე შენთან აღმოვჩნდი,
გამიწისპირების ტანჯვების საცქერლად.

05.2016

* * *

სიცოცხლის მერეც იყავ წვიმარე!
საფლავზე მწვანე ბალახით
ვხვდები
და ზამბახებიც გაიელვებენ,
მომიტანია აღდგომის კვერცხი,
და პატიებით ვითხოვ, გიყვარდე,
სიკვდილის იქით იყავი ჩემი,
თორემ წამიღა დარჩა იქამდე.....

ვივლი წვიმებით გზით გადახვეწილ,
წამიღოს ისევ თბილმა წვიმარემ!

18.03.2016

ამინდები

ო, ეს გაზაფხულის გამრყვნელი ამინდები,
ო, ეს რყევები, ასწლიანი პრინციპების,
ბრძნული სახით სიკვდილამდე ნაპირების.
იცვლებიან კენჭები, იცვლებიან ნახაზები,
ტალღები ტალღები, ტალღებში
დაღლილები,
დაყრილან ნაპირები,
გეტყვი და სიკვდილის იქითაც,
რაღაცას დაგპირდები,
ვიცი, მომსმენიც არ იქნები;

მეძებე!!!
ნაბიჯებით, წვიმაში წაშლილებით!

ო, ეს გაზაფხულის გამრყვნელი ამინდები,
ისევ სჯობს იდგეს ყვავილებში,
მწვანე ბალახებზე ღიმილით
ბაგეგახსნილებში!

სააღდგომოდ წითელი კვერცხებით
მორთული მიყვარს საფლავები;
დღეს თუ ხვალე ვიქნებით მაგისები.

ხასხასებს ჩვილი ბალახი,
გვერდზე ჩაურბის წვიმის ტალახი,
და სიყვარული ვიდრე სიკვდილამდე
ნამდვილად არ არის!
მხოლოდ იმის იქეთ და მხოლოდ
მარადი!!!

2016.05

* * *

ფოთლები შემოდგომის
ხეებზე მიბნეულნი,
ფიქრობენ დაველოდოთ
სიკვდილს, თუ ქართა ქროლვას?!
სიკვდილიც ვერ შეგვამჩნევს,
სიკვდილი წაგვიყოლებს,
სულერთნი შევიქმნებით
ოდესმე თავისთავად.

დაგვწვავს და ხელს გაითბობს
ჩვენი წვის შემხედვარე
ეს ლოთი მეეზოვე
და ძველი მექალთანე.....

ხეებზეც ზედმეტები
ხეებზე ჩამოვმსხდარვართ.
ქარების მონატრებით
ერთმანეთს მოვუყვებით
ამ ამბებს სანახავად.
ფოთლები შემოდგომის,
გამხდარნი დასაწვავად,
კვდებიან უქარებოდ.
კვდებიან თავისთავად.

17.07.2016

შობა

შობის ვარსკვლავი
მოგვებისათვის არის კვალი
-ეჰა, ბაგა!
ეჰა, ჭეშმარიტი კრავი!
ეს მან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი:
შობა იდუმალი,
შობა საოცარი,
იუდას ძირთაგან შობად არს მეფე,
აღსრულდა ისრაიტელთა
მოლოდინის ჟამი
და სახლი არსად არის,
მხოლოდ ბაგა,
ბაგა-სადგომი უსიტყვთა კრავთა
და მთელი სოფელი არ სიტყვობს ახლა,
ვითარცა ბაგა!

მოგვებს სამეუფო მოაქვთ ძღვენი,
შენ ხარ მეუფე, ოქრო გშვენის,
შენ ხარ მღვდელი - ეჰა, საკმეველი,
მაგრამ ხარ მღვდელი,
წესსა მას ზედა მელქისედეკისასა -
და მოაქვთ მური,
ნუთუ შენაც უნდა დალიო სული?
და განიპობა შვიდგზის დედის გული,
- ნუთუ უნდა წამერთვას შობის
სიხარული?
და მევე უნდა შეგცხო ესე მური?

ახლა შობილი გპოვო დაბზარული?!
შეოლ! შეოლ!
ყველა შობილი არის შენი წული,
რადგან შობად ხარ, ახლოა აღსასრული.
შეოლ! შეოლ!
შეცდები მწარედ,
წარმოცარიელდება შენ უძღები არე.
განა მოკვდება რახან იშვა,
არამედ იშვა, რათა მოკვდეს
და შენმიერ წარტყვევნილ კრავებს
გაუღებს საუკუნო ბაგის კარებს.
უკანასკნელი არის ჟამი,
შობა საკვირველი!
შობა საოცარი!
იხსნება ადამის_ცოდვით
დახშული ცანი, ისმის ზეცის მხედრობის
,,მაღალიანი”!
ცხვრებთან ხეტებით
დაღლილი მწყემსები,
ბეთლემში ჩვილ ღმერთს შეხვდებით
და ჰპოვებთ ბეთლემს_პურის სახლს,
საუკუნო ცხოვრებით აღვსილს.
ვინც კი შობილა
და ჯერ არს შობად,
ამ სახლთან საუკუნო პურისთვის მოვა.
შობის ვარსკვლავის
დანატოვარი კვალით,
მოდიან მოგვები-
გზად იერუსალიმის კარი.

შეძრწუნდა ჰეროდე,
შეძრწუნდა ხალხი.
ორ წლამდე ყრმებთან
საომრად ემზადება ჯარი,
ნუთუ კეისრის მონებას
არიდა ჰეროდემ თავი?
რაქელი იტირებს შვილთა თვისთა,
მაგრამ არა ევას ხმითა,
მხსნელი სდგას კართა ზედა მისთა.
ჯოჯოხეთს მახარობლობენ
ჩვილი ყმები.:
,,- მოვიდა კრავი ჯვარზე გასაკრავი,
სად არს ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი,
ანდა, სიკვდილო, შენი საწერტელი?”
ჟამთა აღვსებას შობა საოცარი!
ცას მოაქვს მნათობი,
ქვეყანას_ბაგა, მოგვებს_ძღვენი,
მწყემსებს_ანგელოზთა ხმები,
მონა მეუფეს_სისხლის ზღვები
და შენ, სულო ჩემო,
და შენ, სულო ჩემო,
ნეტავ სად იქნები?
უკანასკნელი არის ესე ჟამი,
შობა საკვირველი,
შობა საოცარი!!!

2000. I.

20 ოქტომბერი

დღე იყო ჩავარდნილი კლავიშივით
და ღამე იმაზე უარესი,
მეგონა, სადღაც ისევ დამიცდიდი-
სულში შენაგუბი ჩასუნთქვებით.
სიგარეტის კვამლს თვალების წვა
სცოდნია,
არასწორი მოკიდებით,
ფოთლები ხეებს სცვივათ
და ამ ზამთრის პირს,
ალბათ ჩავწვები და გავცივდები.
მერე სიცხიანი სიზმრისაგან
დაღლილი,
არაფრისგან შევიშლები,
ვიქნებით საცოდავნი, მოწყინებით,
მედუზები სანაპიროზე დაშლილები.
მანქანის ფარები ვიტრინებზე
ჩაცურდება
და წვიმიან გზებს ვაკვირდები,
კატის კნუტივით გალოკილებს,
სულერთია საით გავუყვებით.
მე შენ გთხოვ:
ამ ტკივილებს ამარიდე,
ამიწიე ეს სპეტაკი ზამთრის ქობა,.....
არ მინდა შენზე ვიყო აწყობილი,
როგორც ვიოლინოს საკვირველი ხმობა.
მე ჩემი მელოდია მენატრება
და მღვრიე ზღვებში ჩაყვინთვები.

მუშაობენ ყველანი გაყიდვებზე---
ვიტრინები, ფარები და გზების გროვა.
დღე არის ჩავარდნილი კლავიშივით
და ღამე იმაზე უარესი!
ეს ქალაქი ისე აღიქმება
გაყიდვები--
- მუსიკა, მანქანა და ბოღმა.

20.10.2016

მიძღვნილი ლექსი

თოვლის კაბის კალთას
მორღვეულ ნაპირებში,
გუბეებს სევდიანი
მოუჩანთ ადგილები.
კარგია ლაპარაკი,
რომ ვიყოთ მარტივები,
არადა, დაკარგული გვაქვს
გულში ადგილები.
ვერთობით ამბებით
და თეატრის აფიშებით,
წეპოზე ამძვრალით
და ამოდღლეზილებით.
არჩეულებით და ასარჩევითებით;
ყველას თავისი მოგვყვება ადგილები,
უკვე არჩეული და გადაცვეთილები;

ფიქრებში ---მიზნებში,
როგორც არწივები,
ვეშვებით ტკივილებში,
ძალიან საწყლები და
ძალიან ვმარტივდებით.
იყავი ადვილი,
იყავი გასაგები!!!
თოვლია გარეთ,
გუბეში ნამიზნები.
წვეთ-წვეთად
ფიფქებიც გადმოხვეწილები,
ცა კი თეთრი და
მოსაბეზრებელი,
გულის სიმხურვალეზე
შემწვარი ფრთებით,
მომწყვდეულ სიყვარულს
ვჯერდებით და ვხვდებით:
ეს ოქტომბერი
თოვლის წვეთებას
როცა მოჰყვება,
მოვა ზამთარი
ტკივილის მეგობრად.
და ყველაფერი უცებ
მორჩება!

თოვლის კაბის კალთას
მორღვეულ ნაპირებში
გუბეებს სევდიანი
მოუჩანთ ადგილები,

თითქოს მუხლები
გადადღლეზილები.

28.10.2016.

ხურმები

ისეთი მყიფე, ისეთი მწიფე,
ხურმები შერჩენილან ხეებზე ისევ,
მზე თითქოს ჩამომხრჩვალი,
წითელი, ჩამავალი,
და თოვლი ნაადრევი ზედ ზღვისა ქაფი.
ზღვა ცხოვრებისა-- ხმით წარმავალის,
მაგრამ იქეთ
თოვლიანი ბაღის სიღრმე.
თოვლში ჩავიყვინთე
ფეხებს არ ვისველებ, მოგდევ
ნატერფალში
შენ წინ მიიწევ ამ ხურმების ბაღში.
თოვლი ნაადრევად აფენს თავის ფიქრებს
ბოლოდან მოჰყვება და ზემოთ
ნელა იწევს--
გზები, სახლები და ხეები მშრალი,
ჩაიძირებიან ამ თოვლის მატყლში.
ვკარგავთ მოგონებებს დაბრუნებით
სახლში.
ხეები უფოთლებოდ,ან ფოთლებით

მჭკნარით
ჰგვანან ანძებს, უაფრებოდ მყოფებს, ღია
ზღვაში;
გემები დაღუპულან ასე უადგილო
გასვლით,
თოვლი აფრებივით ხეებს შემოვაბით.
ხურმები შემორჩენილები ბაღში,
თოვლიანში
თითქოს მზეებია წარმავალნი ზღვაში.
ვკარგავთ მოგონებებს დაბრუნებით სახლში
მკვეთრი არაფერი არის
მაგრამ და მაინც-------

ვიცი, ვერ წაგყვები მე ამ ლამაზ ბაღში,
ძაან პატარა მაქვს ფეხი
ნატერფალში.

06.11.2016.

* * *

წვიმამ გაურკვევლობა
და ნისლი მოიყოლა,
ბარტყივით ვკანკალებ
და ვარ აბუზული,
უკვე მავიწყდება
ყველაფერი თქმული....

გულში დასამარხი
ადგილია გაყიდული!

ქალაქი კვლავ შავებში
და მომწამვლელი
აზრებით თავებში,
ერთობა სიკვდილზე
ფერადი ამბებით.
ვისწავლე აბდაუბდად
წვიმაში სიარული.
ბაწარზე ჯამბაზივით
წონასწორობა დაკარგული.
გუბეზე გადახტომა და
ქუსლი წუმპეში კრული.
წვიმაზე ფეხადგმული
შემოდის გაზაფხული.
ცა აქვს ფართოდგახელილ
თვალებში წუმპეს ჩახატული.
რაა ამაზე მნიშვნელოვანი
აღარ ვუწყი;
ყველაფერი სევდით
გაწუწული.....
დავიწყებას ვცდილობ.
მაგრამ გულში
საფლავის ადგილი
ყოფილა გაყიდული.
წვიმა, გაზაფხული
და ყველაფერი თქმული.

05.2016

2017

თოვლში განფენილ ქალაქს
ატყვია მონატრება ღმერთის,
ფანტელების აცეტებულ ბარდნას
ახლავს ტკივილზე მეტი.
თეთრად ჩაფენილა თოვლი
ნაწიბურებში მთების;
ტაძრებში დარეკილ ზარებს
მანქანის ხმაური ებრძვის
და მაინც მარადიულია განცდა
ჩემი და შენი შეყრის!
გუმბათებზე ჯვრებს ვხედავთ
კორპუსებიდან ქვევით.
სიგარეტს არ ჩააქრობ, ისვრი:
,,მაინც ჭუჭყიაო ბევრი!,
და სილამაზე თოვლის
მხოლოდ ორი დღე გვყოფნის.
როდიდან გაყოფილან გზები
პარალელურად დევნის?!
აღსარებაზე მიხვალ და ცრემლით
სათქმელი არ ლაგდება ხედავ.
ნუთუ არეულები ასე,
თოვლიან მთებს ვგევართ;
გაგვეყინება ცრემლი,
მოსული ფანტელებად ჩვენთან.

2017.01.02.

შუა მარტი

ქარი სისინებს, როგორც არასდროს,
ქარი ხეებზე იბუდებს თითქოს,
საფლავებიდან ნოტიოდ იძვრის
ამ გაზაფხულზე დაღვრილი სითბო.

მერე ამწყდარი სიმები გულზე
ვერ ახმიანებს ვერაფერს იქ მყოფს,
გინდა დარჩი და თუნდაც წახვედი,
სუყველაფერი იქნება თითქოს.
მე დავიღალე და არაფრისთვის
აღარ მოვცდები ტკივილთა სიტკბოს,
სიტყვა ნათქვამი, სიტყვა უთქმელი,
დაკარგულია, არ ვეძებ, იყოს!

მგონია ახლოს მოსული გრძნობდი,
რომ ძველმანებში გამოძენძილში,
გადახვეული ეს ფიქრი გითხოვს.
ქარი სისინებს, როგორც არასდროს,
ქარი ხეებზე დღეს თავს დაიხრჩობს!

17.03.17.

ესეც სააღდგომო

გეფიცები ჩაცემენტებულ ყოფას,
მომენატრე ბავშვობაზე მეტად,
ტალახში მოტყაპუნობს წვიმა
და ნისლებს ბატკნებივით იკრავს,
მიერეკება ჟამი,
როგორც დაქანებულ მთაზე
გადავარდნილი წყალი.

ვერაფერს ვერ მოვასწრებთ ალბათ,
ცხოვრება დაგვტოვებს ხიშტად,
ორი თარიღია მარტო და
მათ შორის გავჩხერილვართ ოხრად,
გადაითოვებს მგონი
ეს აციებაც ყოვლად,
მოვა განშორების ჟამი,
დაუვიწყარი, ობლად.

იებს ჩავუჩოქებ ტყეში,
წერტილოვან გულში დავუმიზნებ კოცნას.
რბილია ეხლა ვიცი მიწა, შავი,
ბალახებს, რომ დაიტევს შიგან,
და ყველაფერზე მეტად,
შენი მონატრება მიყვარს.
ყაყაჩოების ტუჩებს
ვატყობ მონატრება შერჩათ,
შავი არშიები გულთან
და ნაწვიმრობა ერთად.

მერე მზე მთვარესავით მთვრალი,
გაგვეარშიყება როცა,
კუდს მოიქნევს და ზღვაში ჩაეშვება;
ცივ წყალზე დატოვებულ ბილიკს
ვერავინ ვერ მიყვება, ხოდა,
დავრჩებით ბავშვები ზღვასთან,
ვსწავლობთ კენჭების ტყორცნას.
მოვიდა ცხოვრება, მაგრამ,
ასე ამბორივით მორჩა.

ეს სააღდგომო დილა
ბეტონის სახლის კიდეს,
აბამს მომწყემსილ ნისლებს,
და დასველებულ ქვებთან
ბალახი იჭყიტება მწვანედ,
და წერტილოვან იას
გულში გაუმაძღრად იკრავს.

15.04.2017.

თავისუფლება

ვიღაცას ეგონა,
მიყვარდა ძალიან,
ვიღაცას ეგონა,
ვტიროდი ლექსებით.
ჩემს ლექსებს
მთებივით
აწყდება ქარები
სიმარტოვისგან
შეხსნილი კარებით.
მწვერვალი ვერ იტევს
სიცოცხლეს თავისთან,
თოვლივით შეიტკბო
გზები ამსვლელის.
ჩემს ლექსთა მთებს
ქარების სიმართლე ატყვია,
და სიმარტოვეზე
მწვერვალი განცდები.
ერთი კურცხალიც
აღარ მაქვს ნამდვილი,
აქედან ცრემლების
ტბებს როცა გავცქერი.
მთების წვერზეა
პირიმზე ნაზი და
ასევე არწივი
ნადირზე ნაგეში;
ვდგევარ ჩემთვის
და არ ვიცი საიდან,

მაგრამ გავიგე,
რაცა მაქვს სათქმელი,
მერე ყველაფერს,
დაწყებულს თავიდან,
მივატოვებ და თავს
ვშველი გაქცევით.
ცრემლის ზღვასაც აქვს
თავისი ზღვარი და
მზე ნატყვიარიდან
სისხლივით ნაფეთქი.
თავისუფლება ისე მოდიდდა,
ახლა მიშველის
მარტო გამჩენი.

მწვერვალზე ვდგევარ და
მარტო ვარ ნამდვილად,
სიმარტოვეზე არწივად ნაგეში.
უკვე ქარებმა წამიღეს თავისთან
მაჩუქეს ფრთები და
ვიპოვე სათქმელი.
თავისუფლება ისე დიდია,
მზე ნატყვიარიდან
სისხლივით ნახეთქი.

10.10.2016.

დაიბეჭდა შპს “ფრანში”

Bosch

ISBN 978-9941-0-9694-5